საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს
საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“
LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW - PUBLIC SAFETY COMMAND CENTER „112“
OF THE MINISTRY OF INTERNAL AFFAIRS OF GEORGIA

MIA 4 22 00456578

21/02/2022

ქალბატონ მარიამ ლაზარიას
ელფოსტა: foi+request-260-22756340@askgov.ge

ქალბატონო მარიამ,

მიმდინარე წლის 9 თებერვლის № 336952 განცხადების პასუხად მოგახსენებთ, რომ საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი ,,112“ წარმოადგენს გადაუდებელი დახმარების ერთიან ნომერს, რომელიც იღებს და შემდგომი რეაგირების მიზნით შესაბამის სამსახურებს გადასცემს, გადაუდებელი დახმარებისთვის საჭირო პირველად ინფორმაციას, რაც მნიშვნელოვანია შემთხვევის პრიორიტეტის და მასზე რეაგირებისათვის გასაგზავნი რესურსის განსასაზღვრად.

გაცნობებთ, რომ საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ში შემოსული შეტყობინებების კლასიფიკაცია ხდება ზარის ინიციატორის მიერ მოწოდებული პირველადი ინფორმაციის საფუძველზე. თითოეულ განხორციელებულ ზარზე „112“-ის ოპერატორის (ზარის მიმღების) მიერ პროგრამულად განისაზღვრება პრობლემის ანუ ინციდენტის ტიპი. ინციდენტის ტიპის მინიჭების მიზანია არა შეტყობინების ზუსტი შინაარსობრივი შესაბამისობის დადგენა საკანონმდებლო დისპოზიციასთან მიმართებით, არამედ შემთხვევის პრიორიტეტის და მასზე რეაგირებისათვის გასაგზავნი გადაუდებელი დახმარების რესურსის განსაზღვრა.

თანდართული ფაილის სახით გიგზავნით, საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ში, 2020 - 2021 წლებში, ხანძართან დაკავშირებით შემოსული შეტყობინებების სტატისტიკურ მონაცემებს, რომელიც ჩაშლილია რეგიონების მიხედვით.

აქვე მოგახსენებთ, რომ მოკლებული ვართ შესაძლებლობას, მოწოდებული მონაცემები წარმოგიდგინოთ მდგომარეობის სიმძიმის მიხედვით დანაწევრებული, ვინაიდან არ ხდება ამ კუთხით ინფორმაციის დამუშავება.

იხ. მიბმული ფაილი

პატივისცემით,

საჯარო სამართლის იურიდიული
პირი-საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის
ცენტრი ,,112" ადმინისტრაცია (სამმართველო)
უფროსი **ლაშა ჩახავა**